

2019-2020 სასწ. წლის

მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები - მუსიკისმცოდნეობა

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 71 და ზემოთ.

სპეციალობა - მუსიკის ისტორია

სამაგისტრო პროგრამაზე „მუსიკისმცოდნეობა“ ჩაბარების მსურველი აბიტურიენტი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შემოქმედებით ტურებს სპეციალობაში.

გამოცდა ჩატარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი (ზეპირი)

აბიტურიენტს მოეთხოვება სამი შემოთავაზებული მსხვილი ერთნაწილიანი ან ციკლური მუსიკალური ნაწარმოებიდან ერთერთის გაანალიზება ისტორიულ ასპექტში (იხ. სასწავლო გეგმის ფარგლებში შესწავლილ იმ კომპოზიტორთა თანდართულ სარეკომენდაციო ნუსხა, რომელთა ნაწარმოებებიდან შეიძლება შეირჩეს საანალიზო ნიმუში). სამუშაო დრო 2 საათი.

ნუსხა

მსოფლიო მუსიკის ისტორია

1. იოზეფ ჰაიდნი
2. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
3. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი
4. ფრანც შუბერტი
5. ფელიქს მენდელსონი
6. რობერტ შუმანი
7. ფრედერიკ შოპენი
8. ფერენც ლისტი
9. კარლ მარია ვებერი
10. იოჰანეს ბრამსი
11. ანტონინ დვორჟაკი
12. ედვარდ გრიგი
13. ჟორჟ ბიზე
14. პეტრე ჩაიკოვსკი
15. სერგეი რახმანინოვი
16. გუსტავ მალერი
17. რიჰარდ შტრაუსი
18. კლოდ დებიუსი
19. მორის რაველი

ქართული მუსიკის ისტორია

1. შალვა მშველიძე
2. ანდრია ბალანჩივაძე
3. ალექსი მაჭავარიანი
4. ოთარ თაქთაქიშვილი
5. სულხან ცინცაძე
6. ბიძინა კვერნაძე
7. ნოდარ გაბუნია
8. სულხან ნასიძე
9. გია ყანჩელი

II ეტაპი (ზეპირი)

მცირე ფორმატის გასაუბრება, რომლის დროს აბიტურიენტმა უნდა შეძლოს აკადემიური განვითარებისათვის მზაობისა და მოტივაციის დადგენის მიზნით საკუთარი თავის წარმოჩენა. მან უნდა გამოავლინოს პროფესიული ინტერესები, კერძოდ, მომავალი სამაგისტრო ნაშრომის პრობლემატიკა და თემატიკა.